ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №22

27.12.2022 წ.

12:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ირაკლი ემგვერაძე, ვახტანგ სურგულაძე.

საკრებულოს წევრი:

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. **გიორგი ტყემალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ზურაბ აბაშიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **გივი ჩხარტიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ნინო წულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **გიორგი კობიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 9 დეკემბრის №12-032234375-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), გარემოს დაცვის, ასევე, სარევიზიო კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 9 დეკემბრის №12-032234375-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132 600 ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418 200 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 326 714 400 ლარით, ხოლო 2023 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 438 775 200 ლარი) შედარებით გაზრდილია 193 357 400 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან

მიმდინარე წლის 6 დეკემბერს მიღებული წერილის (№04-03/110961) გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 33 356 800 ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 170 000 000 ლარი. ასევე, დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით (34 000 000 ლარი) მისაღები შემოსავლები თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის 10 000 000 ლარით შემცირების ხარჯზე. გაზრდილი ფინანსური რესურსისა და პროგრამის - „მეტის სიცოცხლე ყველა უბანში" გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა** - 522 096 400 ლარი;
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება** - 243 813 700 ლარი;
- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 211 901 700 ლარი;
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 2 029 500 ლარი;
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 38 696 300 ლარი;
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 144 160 700 ლარი;
- **განათლება** - 225 917 800 ლარი;
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 52 531 400 ლარი;
- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 11 436 800 ლარი.
- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 179 548 300 ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 577 032 600 ლარის ოდენობით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 230 318 200 ლარი) შედარებით გაზრდილია 346 714 400 ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 193 357 400 ლარით. მათ შორის:

გადასახადები 872 224 400 ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 114 355 000 ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 33 356 800 ლარით მეტია). მათ შორის:

- **დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი** შეადგენს 622 224 400 ლარს (2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 74 335 000 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 33 356 800 ლარით მეტია).

- **საწარმოთა ქონებაზე გადასახადი** 208 000 000 ლარი (2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 34 000 000 ლარით);

- **ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი** 26 000 000 ლარი (2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 6 000 000 ლარით);

- **მიწაზე ქონების გადასახადი** 16 000 000 ლარი.

გრანტები 474 962 800 ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 205 957 800 ლარით, ხოლო პირველად წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 160 000 600 ლარით მეტია). მათ შორის:

- **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები** 407 800 ლარი (2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების №6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ) - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555 000 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის);

- **სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი** 440 000 000 ლარი, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 170 000 000 ლარით მეტია (თბილისის მასშტაბით არსებულ ქუჩებზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ხიდების და მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაციის სამუშაოები; M2 კატეგორიის ავტობუსების შეძენა; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები; თბილისის პარკების სარეაბილიტაციო სამუშაოები; სკეიტპარკების და მოედნების მოწყობა; კულტურული და სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები და აღჭურვა; **საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნარჩენის განთავსების მიზნით მე-4 უჯრედის მშენებლობა, თბილსერვისის სპეცტექნიკის შეძენა და სხვა).**

- **სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან** - 34 000 000 ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 7 000 000 ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000 000 ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 9 000 000 ლარი, თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 10 000 000 ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 000 000).

სხვა შემოსავლები - 229 845 400 ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 26 401 600 ლარით. მათ შორის:

- **შემოსავალი საკუთრებიდან** – 11 284 800 ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** – 60 000 000 ლარი;

- **მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** - 65 000 000 ლარი;

- **სანქციები (ჯარიმები და საურავები)** - 67 000 000 ლარი;

- **სხვადასხვა შემოსავლები** – 26 560 600 ლარი.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - 1 255 148 800 ლარით, მათ შორის: **შრომის ანაზღაურება** - 98 465 600 ლარით, **საქონელი და მომსახურება** - 180 173 200 ლარი, **პროცენტი** - 23,219 300 ლარი, **სუბსიდიები** - 600 300 200 ლარი, **გრანტები** - 471 500 ლარი, **სოციალური უზრუნველყოფა** - 136 053 300 ლარი, **სხვა ხარჯები** - 216 465 700 ლარით.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 321 883 800 ლარით.

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 279 768 300 ლარს, მათ შორის:

- **არაფინანსური აქტივების ზრდა** – 334 768 300 ლარი.

- **არაფინანსური აქტივების კლება** – 55 000 000 ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 5 000 000 ლარი).

ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი უცვლელია და განსაზღვრულია 100 000 ლარით, რაც შეადგენს ფინანსური აქტივების კლებას. ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი განსაზღვრულია 42 115 500 ლარით, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

2023 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 42 115 500 ლარით, რაც ნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრიორიტეტებზე:

1. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება (კოდი: 03)** - ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში დაფინანსების ოდენობა განისაზღვრა 211 901 700 ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (167 317 100 ლარი) შედარებით გაზრდილია 44 584 600 ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 42 650 000 ლარით მეტია. მათ შორის:

   - **გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01)** - პროგრამის ასიგნებები **იზრდება** 25 650 000 ლარით;

   - **დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02)** - პროგრამის ასიგნებები **იზრდება** 12 000 000 ლარით;

   - **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01)** - ქვეპროგრამის ასიგნებები **იზრდება** 3 000 000 ლარით;

- ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - ქვეპროგრამის ასიგნებები **იზრდება** 2 000 000 ლარით.

2. **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი: 09)**, რომლის დაფინანსების ოდენობაც განსაზღვრულია - 11 436 800 ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა - **ცხოველთა მონიტორინგი (კოდი: 09 02)** - 9 619 700 ლარით. **ცხოველთა მონიტორინგის** პროგრამის ასიგნებები პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში **იზრდება** - 5 000 000 ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ვლადიმერ ბოჟაძემ, ბ-ნმა გიორგი ტყემალაძემ და ქალბატონმა ნინო წულაძემ - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების (მუნიციპალური ავტობუსების შეძენის, მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის მოწყობის, მეტროსადგურების რეაბილიტაციის) თაობაზე.

ბ-ნმა ვლადიმერ ბოჟაძემ, ბ-ნმა რევაზ სოხაძემ და ქ-ნმა ნინო წულაძემ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობის შესახებ.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების თაობაზე დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობის შესახებ დასმულ შეკითხვებს უპასუხა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორმა ბ-ნმა გიორგი კობიაშვილმა.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის კომისიის 2022 წლის 18 ნოემბერს გამართულ სხდომაზე (ოქმი №19), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველად წარდგენილ პროექტთან (წერილი №12-032231961-03; 15.11.2022 წ.) მიმართებაში კომისიის მიერ გამოთქმული წინადადებები **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამებისა და ასევე, ცხოველთა მონიტორინგის** პროგრამის ასიგნებების გაზრდასთან დაკავშირებით, საერთო ჯამში, გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში, რასაც კომისია დადებითად აფასებს.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 9 დეკემბრის №12-032234375-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე; თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 9 დეკემბრის №12-032234375-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე